შეხვედრის ოქმი
29 მარტი, საგარეჯო
USAID დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი

ღია მმართველობა საქართველო
საჯარო კონსულტაციები 2016

ქალაქ საგარეჯოში ღია მმართველობა საქართველოს საჯარო კონსულტაცია USAID–ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა. შეხვედრას ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციათა, საჯარო სკოლების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

შეხვედრის ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის მრჩეველმა, ღია მმართველობა საქართველოს ეროვნულმა კოორდინატორმა, მარიამ თუთბერიძემ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა მარიამ თავდგირიძემ და ეკა გაბადაძემ და იუსტიციის სახლის წარმომადგენელმა ნინო მურველაშვილმა შეკრებილ საზოგადოებას გააცნეს მთავრობის ის ინიციატივები, რომელთა მიზანია მთავრობის ღიაობის, გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდა და რომლებიც დაგეგმილია, რომ ვალდებულებების სახით გაიწეროს ღია მმართველობა საქართველოს 2016–2017 წლის სამოქმედო გეგმაში.

შეხვედრის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ საკითხებზე:

- შეხვედრის მონაწილეებმა დაინტერესება გამოხატეს სსიპ „112“-ის ვალდებულებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება მობილურ აპლიკაციას. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია არ დაწესდეს დამატებითი გადასახადი აღნიშნული მომსახურებისთვის.
- შეხვედრის მონაწილეები მიიჩნევდნენ, რომ იუსტიციის სახლის ვალდებულება სახლების შშმ პირებზე ადაპტირებასთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანია. მათ ასევე აღნიშნეს, რომ არა მარტო იუსტიციის სახლების, არამედ სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების ადაპტირება უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.
- შეხვედრის მონაწილეებმა დაინტერესება გამოხატეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ წარდგენილ ინოვაციებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი შესყიდვის ობიექტებისა და მიმწოდებლების ელექტრონული კატალოგის (e-Market) დაგეგმილ სიახლესთან მიმართებით. აღნიშნეს, რომ კატალოგი დაეხმარება შემსყიდველ ორგანიზაციებს სახელმწიფო შესყიდვების წინა მოსამზადებელი სამუშაოების უკეთ წარმართვაში, და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს თავიანთი პროდუქციის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში შეუწყობს ხელს.
- შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესებულ პირებს, სამოქალაქო საზოგადოებას, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ დაგეგმილი სიახლეები (ტენდერებზე აგრეგირებული ინფორმაცია, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის სრულყოფა) გაუმარტივებს

ინფორმაციის მოძიებას წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებისა და დაგეგმილი შესყიდვების შესახებ.

- შეხვედრაზე დადებითად შეფასდა შესყიდვების სააგენტოს საქმიანობა, განსაკუთრებით გამჭვირვალობის, ღიაობის, ეფექტიანობის და ხელმისაწვდომობის კუთხით. საზოგადოების მხრიდან გამოითქვა წინადადებები სახელმწიფო შესყიდვების დროს გამარჯვებულის გამოვლენა ფასისა და ხარისხის თანაფარდობის მიხედვით ხდებოდეს.
- შეხვედრის მონაწილეთა სრულმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ დაბალია საზოგადოების ჩართულობა სხვადასხვა პროცესებში ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. დაბალია ასევე მათი ცნობიერების დონე მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით. არ ხდება მათი აზრის გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მათ არ აქვთ შესაძლებლობა საკუთარი საჭიროებები გააცნონ ადგილობრივ თვითმმართველობას. აღნიშნულთან მიმართებით, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია ღია მმართველობის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით მათი აზრის გაზიარება, თუმცა უფრო ეფექტური იქნება თვითმმართველობების ჩართვა აღნიშნულ პროცესში და მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტური მექანიზმის შემუშავება.